ოქმი:**ო05. 3722335001**

თარიღი:**01/12/2022**

ოქმი №11
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2022 წელი, 24 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ნ. ნადირაშვილი, ბ. კილაძე, ე. გორდელაძე, ვ. ნიჟარაძე, ი. ბიგვავა, ხ. ცერცვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.
მომხსენებელი: პ. კიღურაძე

სხდომის თავმჯდომარემ, პ. კიღურაძემ, კომისიის წევრებს გააცნო შემოსული განცხადებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ. აღინიშნა, რომ შემოსულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს, საკრებულოს უფრაქციო წევრების, გელა ჩავლეშვილისა და ეროდი გორდელაძის მომართვა კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და სხვა კომისიებში გაწევრიანების შესახებ. იმსჯელა რა აღნიშნულის თაობაზე კომისიამ მიიღო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა :

1. დაკმაყოფილდეს საკრებულოს წევრების ნანა ქარჩავას - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიიდან გასვლის; ნინო მახარაძის - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიიდან გასვლის; გოჩა კილაძის - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიიდან გასვლის; ტიტე მგელაძის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიიდან გასვლის; ლავრენტი ბიგვავას მოთხოვნა- სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიიდან გასვლის შესახებ.

2. დაკმაყოფილდეს საკრებულოს წევრების ნანა ქარჩავას საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში გაწევრიანების; ნინო მახარაძისა და გოჩა კილაძის სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიაში გაწევრიანების; ტიტე მგელაძისა ლავრენტი ბიგვავას, დავით დარჩიას - აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისიაში გაწევრიანების; ნანა

ღაჟონიას - განათლების, კულტურის, სოციალურ საკითხთა კომისიაში გაწევრიანების; გელა ჩავლეშვილის - საფინანსო-საბიუჯეტო და აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიაში გაწევრიანების; ეროდი გორდელაძის მოთხოვნა - სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის და განთლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში გაწევრიანების შესახებ.

3. გადაწყვეტილება გადაეგზავნოს საკრებულოს ბიუროს.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი